| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


# ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

შაბათს, 23 თებერვალს

ტფილისის საარტისტო საზოგადოების დარბაზში გამართული იქნება

## კონცერტი

„ქალ. ტფილისის სკოლების შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების" თანხის განსაძლიერებლად.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ზარუდნაიასი, პაპოვისა და უნტილოვისა; ბ-ნნი ბარბინი, რუბირატტო, კოშიცი, კოლჩინი, პახომოვი და სარაჯიშვილი.

დაწვრილებითი პროგრამა აფიშაში გამოცხადდება. ბილეთები ისყიდება საარტისტო საზოგადოების შვეიცართან.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(2—2)

---

ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მმართველობა ამით აცნობებს თავის წევრთ, რომ ამა 1891 წ., მარტის 24, დილის 10 საათზედ, ფოთის თვით-მმართველობის სადგომში დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება.

1) რომელმაც უნდა გასინჯოს და დაამტკიცოს წარსულის 1890 წლის ანგარიში.

2) ამოირჩიოს სამის წლით მმართველობის თავმჯდომარე და დირექტორი ეხლანდელის თავმჯდომარისა და დირექტორის მაგიერ, რადგან ამათ უკვე შეასრულეს თავიანთი ვადა სამსახურისა.

3) ამოირჩიოს სამი დეპუტატი საბჭოსი დღევანდელების მაგიერ, რომელთაც შეასრულეს აგრეთვე ვადა სამსახურისა.

4) ამოირჩიოს სამი წევრი სარევიზიო კომისიისა და კანდიდატი მათი.

და 5) დაამტკიცოს ხარჯთ-აღრიცხვა 1891 წლისათვის.

მართველობა საზოგადოებისა სთხოვს წევრთ, რომელთაც ნაზრუნი აქვთ ვექსილობის ქაღალდი, რათა ხმა ჰქონდეთ კრებაზედ, საზოგადოების წესდების მე 36 § სხოლიოს თანახმად, წარმოადგინონ ის ქაღალდები სამის დღით ადრე, ვიდრე კრება დაიწყობოდეს, ესე იგი, მარტის 21-მდე.

(3—2)

---

კვირას, 24 თებერვალს, „ტფილისის კლუბის" დარბაზში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ

## ბალი

ბილეთის ფასი—2 მან.; დასაწყისი—საღამოს 9 საათზე.

ბილეთები ისყიდება კნ. ელენე მიხ. ანდრონიკაშვილისას და ტფილისის კლუბში.

(7—5)

---

ტფილისი, 22 თებერვალი

სამთა კავშირის ერთგულება და მომხრეობა იტალიის ერს იაფად არ უჯდებოდა. ბევრი ხარჯი უნდა გაეწია ქვეყანას, საუკეთესოდ უნდა მოეწყო თავისი სამხედრო ძალა, რომ ღირსეული ამხანაგი გამხდარიყო ევროპაში გერმანიისა და ავსტრი-ვენგრიისა. ასეთმა ცდამ იტალიის კეთილდღეობას კინაღამ ძირი არ გამოუთხარა და პირ-ქვე არ დაამხო. ერი გაღატაკდა, დაუძლურდა და გაისმა ხმა მწუხარებისა. შემოსავალი ხარჯს ვერა ჰფარავდა, სახელმწიფო ვალებით ივსებოდა და მთავრობა გიდევ თავისას არ იშლიდა. ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ერმა ველარ შესძლო ასეთი აუტანელი მდგომარეობის ატანა და კრისპის სამინისტრო ძირს დასცა.

მოიტანა თუ არა ეს ამბავი დეპეშამ, ჩვენ ის აზრი გამოვთქვით, რომ ეხლა უსათუოდ იტალია, ძალით იქნება, თუ ნებით, სრულებით სხვა გზას უნდა დაადგეს საგარეო პოლიტიკაში, სანამ აქამდისინ იდგაო. გერმანიის ათის წლის მეგობრობამ სარგებლობა არ მოუტანა და დიდათ აზარალა და უეჭველია ასეთი მწარე ცდის შემდეგ სულ სხვა გზას ამოირჩევდა. ეს გზა გახლავთ საფრანგეთთან მტკიცე მეგობრობა და მისის ზურგის მაგრა დაჭერა. იტალიას საფრანგეთის მეგობრობა ზარალს არ მოუტანს და არც დიდს ხარჯის მისცემს, რადგან სადავიდარაბო და გასაყოფი აგრე სახარბიელო არა აქვთ-რა. საერთო-კი ამ თითქმის ერთ-სისხლ და ერთ-ხორც ერს ძალიან ბევრი მოეპოვებათ. ავიღოთ მარტო გარეშე მტრის მოგერება. იტალიის საზღვრები თითქმის ოთხი მეხუთედი ზღვისა არის და ფლოტი ცოტა აქვს, საფრანგეთის ფლოტი-კი ხმელთაშორის ზღვაზე უპირველესი ფლოტია. რასაკვირველია, იტალიას აღარაფერი შიში არ ექნება მტრისა ზღვიდან, თუ საფრანგეთი მეგობრად ეყოლება. არც საფრანგეთისათვის იქნება უსარგებლო იტალიის მეგობრობა. თავისი საზღვარი იტალიასთან უზრუნველი ექნება, ვინიცობაა თუ გერმანიასთან ომი მოუხდა და მთელს თავის სამხედრო ძალას მარტო აღმოსავლეთის საზღვარზე მოუყრის თავსა.

მართლაც, კრისპის მოადგილემ, მარკიზმა რუდინიმ, ჩაიბარა თუ არა საქმეები და შეადგინა სამინისტრო, დაუყოვნებლივ პალატას გამოუცხადა, რომ ჩვენ მოვალეობად მივიჩნიეთ, შევამციროთ ხარჯი, შევუმსუბუქოთ ერს მძიმე უღელი და აღარ მოვუმატოთ ქვეყანას გადასახადიო. ხარჯის შემ-

---

## ფელეტონი

ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი

XI

(შემდეგი. იხილე № 33)

პირველ დროს ყველა ერის ცხოვრება მარტივი ყოფილა და იურიდიულ ურთიერთობასაც არა ჰქონია ფართო და ვრცელი მოედანი. მხოლოდ განვითარებასა და მოქალაქეობას შეჰქონის მრავალ გვარი იურიდიული გარიგება (юридическая сдѣлка), ხელ-შეკრულობა (договоръ) და სხ. ესევე უნდა ითქვას საათაბაგოზედაც. აღბუღა აღწერს თითქმის თვითეულს გარიგებასა და ხელშეკრულობას, რომელიც-კი ძველად ყველა მოწინავე და განათლებულს ხალხს ჰქონია.

მეცნიერება ამბობს, უძველესი და ერთი თავდაპირველი ხელ-შეკრულობა ვალიაო. როცა ფული იშვიათი სახმარებელია და ძვირადაც მოიპოვება, ერთმანეთს უფრო საქონელსა და მამულს ავალებენ და ძველებურის ვალის თვისებაც ისაა, რომ მამულის ვალად მიცემაც შეიძლება[181]). შესანიშნავია, რომ საათაბაგოშიაც ვალს ძველებური თვისება ამჩნევია. ეგრედ წოდებული მამულსა შიგა საწინდრად დგომა სამა- [illegible] ამას გარდა, სხვა ვალსაც, სახელდობრ ვერცხლის და პურის გასესხებას, ცხადად ეტყობოდა პირვანდელი ხასიათი. რომში, მაგ., ძველად ფულს მხოლოდ წონით ავალებდნენ [182]). საათაბაგოშიაც ასე იყო: „თუ კაცს ვერცხლი აწონით ევალოსო"... (მუხ. ქვ). ინდოელთა სამართალი ამბობდა, ნასესხი პური სამად უნდა გარდაიხადოს ამღებმაო [183]). აღბუღაც ამას ადგენდა—„თუ კაცმან კაცისაგან პური ივალოს, ორისათვის სამი კმაო" (მუხ. ქდ). ათაბაგმა სამართალი ახალ ცხოვრებისათვის განაჩინა და ამიტომ ვალსაც ცვლილება უნდა დასტყობოდა. დაეტყო კიდეც. ჯერ ერთი, რომ აღბუღამ დააწესა, აუწონლადაც შეიძლება თეთრის, ფულის გავალებაო (მუხ. ქვ). მეორედ, ვალის ამღებელს ვადა დაუდო. უძველეს დროს-კი ვადა არ არსებობდა და ვალს უვადოდ იღებდნენ [184]). მაშასადამე, საათაბაგოში ვალის საქმე დამთავრებული არ იყო, ერთს გარკვეულს გზას არ ადგა. ვალმა ძველ თვისებასთან ახალიც შეიძინა და ამიტომ სხვა-და-სხვა ფორმისა შეიქმნა. პურის ვალი განირჩეოდა თეთრის ვალისაგან და ეს უკანასკნელი კიდევ ორად განიყოფებოდა. თუმცა ვალის საქმე ასე დატრიალდა, მაგრამ ჯვითოეულ ფორმის ვალს საერთო ხასიათიცა ჰქონდა—ყველა ვალი საშეღავათო უნდა ყოფილიყო და ვალში დიდის სარგებლის აღება არ შეიძლებოდა. პურის ვალი, როგორც სახელიდგანაც სჩანს, ნიშნობლივს საგანს შეეხებოდა და ასეთის ვალის ამღებელს, შედარებით, ცოტა სარგებელი უნდა გადაეხადა—„თუ დაჭირებისათვის დიდი სარგებელი შეუკვეთოს მიმცემელმან, ნუ იყოფინ, ორისათვის სამი კმაო". თუ სამზედ მეტს შეუკვეთდნენ, მაშინ?—ამღებელს შეეძლო სამზედ მეტი არ გადაეხადა და თუ გარდაიხდიდა, ბჭობით უკანვე უნდა მისცემოდა: „გარე შეუქციოს, რა გინდა ნიშანი ჰქონდეს, არად მოეხმაროსო" და ეს იმიტომ, რომ ანგარება ცოდვა არისო (მუხ. ქდ). აღბუღას სიტყვით, თეთრის ვალიც განსაკუთრებული და „სასარგებლოდ" ასაღებელია. ამ ვალსაც გადაჭრილი აქვს თავისი სარგებელი—20%: ათასისათვის ათას ორას დასჯერდეს წელიწადსა შიგაო". კაცს, რაც უნდა დიდხანს ჰმართებოდა სხვის თეთრი, 20% მეტი არ გადახდებოდა. ათაბაგი უარჰყოფდა ეგრედ წოდებულს ვახშის ვახშს*) (%%),—„ნუცა ვახშის ვახში იხსენებისო" (მუხ. ქე). თუმცა თეთრი იგივე ვერცხლია, მაგრამ ვერცხლის აწონით ვალება განსხვავდებოდა თეთრის ვალისაგან (მუხ. ქვ). პირველად, ვერცხლის აწონით ვალისათვის საჭიროა, „როგორიც მიეცეს, აგეთივე დაუბრუნოსო". მეორედ—ასეთს ვალში „ვახშის ჭამაც" შეიძლებაო. რასაკვირველია, სამართალი არ უკრძალავდა აწონით ვალის მიმცემელს ევალებინათ თეთრი. აწონით ვალის ფორმას შეადგენდა წიგნი. წიგნში ვადა უნდა დაენიშნათ და ამ ვადაზედ ამღებელს უნდა გადაეხადა ვალი.

როგორც შევნიშნეთ, თავდაპირველად მამულსაც აძლევდნენ ვალად. ამ სამამულო ვალისაგან წარმოსდგა აღბუღას მიერ აღნიშნული სავახშე ვალი, რომელსაც ათაბაგი აღწერს იმავე ადგილას, სადაც ნაჩვენებია მამულსა შიგა საწინდრად დგომა (მუხ. პდ). საწინდრად დგომა გარეგნობით მიაგავდა აწინდელს pignus-ს, залогъ-ს, შინაგანის ბუნებით-კი ვალს უფრო მიემსგავსებოდა. მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ სავახშე ვალის საგანს შეადგენდა თეთრი, წინდისას—მამული: „თუ კაცსა კაცისა თეთრი მართებოდეს სავახშედ, ანუ მამულსა შიგა დგეს საწინდრადო." ამიტომაც აღბუღა ამბობს, საწინდრად დგომისა და სავახშე ვალის აღების თვისება ერთი და იგივეა—ორსავე შემთხვევაში ვალის ამღებელმა და წინდის მიმცემელმა, სამის წლის განმავლობაში, სარგებელს გარდა, თავნის მეოცედი უნდა გარდაიხადონო... მაგრამ თუ ვერ გარდაიხდიდნენ?—მაშინ ანგარიშით გასწორდნენო. ხოლო იგი გასწორება ნიშნავდა ერთის მხრით, თავნისა და სარგებლის ანგარიშსა, მეორეს მხრით—მამულის „ჭამის" დაფასებას: „შეათვალა დაჰხედნეს და აგრე დააკლონო"... რასაკვირველია, შეიძლებოდა მამულის ჭამა აღმატებოდა სარგებელსა. სამართალმა ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და ანგარიში მემამულეს საშეღავათოდ დაადგინა—ბევრი არა სჭამონ მამულიო. უკეთუ ვალის ამღები შორის სადმე გარდაიხვეწებოდა—„გლახა-ღარიბობასა უელია, უმამულოს საბრალოდ"—და ვალის პატრონი დაწინდულს მამულს ვერ სჭამდა, მაინც მოსვლას მოუცადოს და თავის ვალს ნუ მოითხოვსო. „მამულსა შიგა საწინდრად დგომას" მაშინ მიმართავდნენ ხოლმე, როცა ჰსურდათ პატარა ვალში ბევრი ესარგებლნათ და მამულის ჭამით დიდი ხეირი ენახათ. ქართლში ეხლაც ასეა წინდის საქმე. აღბუღა წინ აღუდგა კაცის სიხარბესა და ანგარებას და როგორც დიდი სარგებელი, ისრე ვახშის სიდიდე ცოდვად აღიარა: „დიდსა მიწასა ცოტათა საქონლითა ნუ დაიწინდნავს, თვარა იგი ვახშის სიდიდე იქნების და განმარისხებელი ღვთისაო" (მუხ. ქე). თუმცა ათაბაგი ამას ამბობდა, მაგრამ „მამულის შიგა საწინდრად დგომა" მაინც დიდად სახეირო იყო ფულის პატრონისათვის, რადგანაც იგი პატრონი ჭამაში სარგებელსაც გამოდიოდა და ცალკე ხეირი სხვა ჰქონდა.

როგორ და საიდგან წარმოსდგა სარგებლისა და ვახშის სიდიდე? როცა ხალხის ეკონომიური ცხოვ

---

[181]) Совр. Об. и др. Зак. I. 196—7.

[182]) Зомъ, 23—6.

[183]) Совр. Об. и др. Зак. I. 202.

[184]) ibid. 198—9.

*) ვახში—ვალის სარგებლის სარგებელია, უწესო, იხ. ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი.

ცირება, რასაკვირველია, უმთავრესად შეეხება, სამხედრო და ზღვის უწყებასა, რადგან მარტო ეს ორი უწყება ინელებდა იტალიის შემოსავლის ორ მესამედს.

როგორც ამბობენ, ხარჯი შემცირდება თითქმის ოც-და-ათ მილიონ ფრანკამდე. თვით მინისტრებმა შეიმცირეს თავ-თავიანთ ჯამაგირები და თითოეული წელიწადში 20,000 ფრანკსა სჯერდება.

უფრო საყურადღებოა მარკიზ რუდინის წადილი საფრანგეთთან დამეგობრებისა. გერმანიის ჩაგონებით იტალია ამ უკანასკნელ დროს ამრეზით და ალმაცერათ უცქეროდა საფრანგეთსა და სცდილობდა ყოველთვის რითიმე და როგორმე ეწყინებინა და გაეჯავრებინა ეს ძლიერი ერი. მოთმინებიდამ გამოსულმა საფრანგეთმაც, რომ იტალიას ცხადად ეგრძნო თავისი უღონობა, დაუკეტა იტალიის საქონელს თავისი საზღვარი და, ასე გასინჯეთ, იტალიელი მუშა ხალხიც-კი აღარ დააყენეს საფრანგეთში. საზღვრის დაკეტამ დიდად შეაწუხა იტალია: დღე ისე არ გადიოდა, რომ რომელიმე დიდი ვაჭარი არ გაკოტრებულიყო; მექარხნეებმა წარმოება შეამცირეს და მუშებიც დაითხოვეს, რადგან მომზადებული საქონელიც ვეღარ გაეყიდათ და აბა, ახალს ვინ-ღა დაამზადებდა. უსაქმოდ დარჩენილი ხალხი ჰღელავდა და სულ მთავრობის მუქარაში იყო. ამ გვარად გამწვავდა ურთიერთობა იტალიასა და საფრანგეთ შორის. აი სწორედ ასეთი არასანატრელი კავშირი ორის სახელმწიფოსი ჰსურს მარკიზ რუდინის გააუკეთესოს და ორი ძველი მეგობარი ხელმეორედ დაუმეგობროს ერთმანეთს. ამ აზრით რუდინიმ დაიბარა პარიჟიდამ იტალიის სელჩოს მოთათბირე რესმანი, რომ მოელაპარაკოს, რა გზით შეიძლება საფრანგეთისა და იტალიის დაახლოვება და თავიდამ აცილება იმ გარემოებისა, რომელიც ხელს უშლიდა მეგობრობას ამ ორს ერთის მოდგმის ერს. რა მოჰყვება ასეთს მოლაპარაკებას, ამას მომავალი გამოაჩენს, ეხლა-კი საყურადღებო ისაა, რომ იტალია სცდილობს საფრანგეთთან დაახლოვებას და მის მოკავშირე გერმანიას-კი ერთხელ კიდევ უმწვავდება ურთიერთობა საფრანგეთთან.

საქმე ის არის, რომ ამ ბოლოს დროს გერმანიის ახალგაზდა იმპერატორი ვილჰელმი მეცადინეობას არ აკლებდა, რომ როგორმე დამეგობრებოდა საფრანგეთს. ნიშნებიც ისეთი იყო, თითქოს იმპერატორს სურვილი უსრულდებაო. მარშან საფრანგეთის წარმომადგენელნი იყვნენ ბერლინში მუშათა საქმის განხილვის დროს და იმპერატორი დიდის ყურადღებით მოექცა იმათ. შემდეგ საფრანგეთის მკურნალთ მიიღეს მონაწილეობა ბერლინის სამკურნალო კონგრესზედ და ბოლოს ხმა გავარდა, რომ საფრანგეთის მხატვარნი მიიღებენ მონაწილეობას ბერლინის საერთა-შორისო სამხატვრო გამოფენაზედაო. ეს გარემოება სასიამოვნოდ რჩებოდა ახალგაზდა იმპერატორს და საფრანგეთის გამოჩენილ მხატვრის მეისონიეს სიკვდილის გამო ვილჰელმმა სამძიმრის წერილი გაუგზავნა საფრანგეთის სამხატვრო აკადემიას. ერთის სიტყვით საქმე ისე მიდიოდა, რომ კაცი იფიქრებდა, აი დღესა, თუ ხვალ მოხდება შერიგება ამ ორის დაუძინებელის მტრისაო. ამ შერიგებას, რაღა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა თვით ევროპის საპოლიტიკო ცხოვრებაში. უეჭველია, ასეთს შერიგებას მოჰყვებოდა თოფ-იარაღის აყრა, ევროპა სრულებით დამშვიდდებოდა და ის აუარებელი ფული, რომელიც დღეს იხარჯება ტყუილ-უბრალოდ ჯარებისათვის, ძირს დარჩებოდა და მოხმარდებოდა ერის კეთილდღეობას.

დიაღ, ყველა ეს მოსალოდნელი იყო, მაგრამ მოლოდინი მოლოდინად დარჩა. ეხლახან მოსული დეპეშებიდამ სჩანს, რომ გერმანიისა და საფრანგეთის ურთიერთობა ხელ-მეორედ გამწვავდა. გერმანიის დედოფალს ვიქტორიას, რომელიც პარიჟში წავიდა სამხატვრო მუზეის დასათვალიერებლად, სიხარულით არ მიეგებნენ ფრანგები და მცირეოდენი არეულობაც მოახდინეს ფრანგებს გულში ისარივით მოხვდა გერმანიის ქვრივის დედოფლის ყოფნა პარიჟში. მაგის მახლობელთა ბრძანებით გერმანიის ჯარის-კაცნი ოცის წლის წინად ყუმბარებს ესროდნენ პარიჟსაო,—გაიძახოდნენ ისინი,—ეხლა მის დასათვალიერებლად მოსულა მობრძანებაო! გულში დამარხულმა ბრაზმა თავი ვეღარ დაიმალა, აშკარად გამოცხადდა და, რომ უფრო დიდი არეულობა არ მომხდარიყო, დედოფალი გაეშურა პარიჟიდამ.

ამას მეორე უსიამოვნო ამბავი მოჰყვა. საფრანგეთის მხატვრებმა უარი სთქვეს, მონაწილეობას არ მივიღებთ ბერლინის მსოფლიო გამოფენაშიო. ეს უარი ელდასავით ეცა გერმანიის იმპერატორსაც და თვით ბერლინის საზოგადოებასაც. იმპერატორმაც ჯავრი იმითი იყარა, რომ ელზას-ლოტარენის გამგებელს უბრძანა, სასტიკად აღასრულეთ საპასპორტო წესები ფრანგების შესახებაო. ერთის სიტყვით აირია საპოლიტიკო ჰორიზონტზედ ღრუბლები, და ძნელი გამოსაცნობია, მალე გადიყრის ცა ამ ღრუბლებს, თუ წვიმასა და სეტყვას დაუშენს.

ეს არა ერთ გზით გამეორებული გამწვავება საფრანგეთსა და გერმანიის ერთმანეთობისა, ცხადად ამტკიცებს, რომ მორიგება ყოვლად შეუძლებელია მათ შორის იმ დრომდე, ვიდრე ფრანგებს არ დაუამდებათ 1870 წლებში ნატკენი გული ე. ი. ვიდრე უკანვე არ დაიბრუნებენ თავიანთ ძალად მოწყვეტილ ძმებს, ელზას ლოტარენელებს.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

** ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ბ-ნი სტრუვე ედავებოდა ჩვენს ქალაქს იმ მამულს, სადაც სატიეა, მტკვრის პირად.

ეს საქმე სტრუვეს სასარგებლოდ დაბოლოვდა და კიდევაც აიღო „ისპოლნიტელნი ლისტი“, ოთხის დესიატინის მიწის ჩასაბარებლად.

ქალაქის საბჭომ,—რომელსაც ეს ამბავი მოჰხსენდა,—აირჩია კომისია და მიანდო მოურიგდით როგორმე სტრუვეს შინაურულადაო. კომისიამ, როგორც შევიტყეთ, მისდა მინდობილი საქმე უკვე დაუბოლოვა სტრუვესთან მორიგებით, და აი როგორ: სტრუვემ უნდა დაუთმოს ქალაქს ზემოხსენებული 4 დესიატინა მიწა სატიეზედ 35 ათას მანეთად. რაც აქამდე ხარჯი მოჰხვლიათ საქმის წარმოებაზედ სასამართლოებში — უნდა თვითონ სტრუვემ იკისროს, ხოლო ახალის პირობის შეკვრის გამო ხარჯი რაც იქნება—ნახევარი ქალაქმა უნდა გადიხადოს და ნახევარ სტრუვემ.

ასეთი მორიგება საბჭოს კომისიისა და სტრუვესი საფინანსო კომისიამ განიხილა და მოიწონა. მომავალ ორშაბათს კრებაზე ქალაქის გამგეობა ამ საქმის გარემოებას დაწვრილებით მოახსენებს საბჭოს.

** დღეს, 23 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში დანიშნულია კრება კავკასიის იურიდიულის საზოგადოებისა. კრებაზე არა წევრთაც შეუძლიანთ დასწრება.

** გუშინ-წინ, ამ თვეის 21, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწემ, გენერალ-ლეიტენანტმა გრაფმა ტატიშჩევმა, დაათვალიერა ქალაქის სამკურნალო. მისმა ბრწყინვალებამ დაიარა ყველა ოთახი სამკურნალოსი და ელაპარაკა ავადმყოფებს. შემდეგ დაათვალიერა საგიჟეთი, სამკურნალოს სამზარეულო, და სხვ. და სხ. სამკურნალოს დათვალიერების შემდეგ გრაფმა ტატიშჩევმა მადლობა გადაუხადა სამკურნალოს უფროსს, მკურნალს გოლბეკს, და წაბრძანდა სასახლეში.

** ტფილისის პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ უკანასკნელს კრებაზე გადასწყვიტა 20 მანეთი შესწიროს ღამის გასათევ ბინის აშენებას სასარგებლოდ და ამდენივე გაუგზავნოს ახლად დაარსებულ მცირეწლოვან დამნაშავეთ თავ-შესაფარისათვის.

** ტფილისის პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციის ბოქაულებს, მალმალე დაათვალიერეთ ბაკები, ეზოები, რომ ყველგან სისუფთავე იყოს, რადგან თბილი დღეები დადგა დ-

---

რება ჯერ ისევ განუვითარებელი იყო და ფულებრივი მეურნეობა (денежное хозяйство) არ არსებობდა, აღებ-მიცემასა და სხვა და-სხვა ხელ-შეკრულობაში ფულად რომელსამე პირუტყვს ჰხმარობდნენ, მაგ. ძროხას, ცხვარს, ცხენს, აქლემს,—რაც ხალხს ებრიანებოდა. იმ დროს სარგებელსაც იმ კვალობაზე ანგარიშობდნენ, თუ რამდენს მოიგებდა დედალი პირუტყვი და მოგებული კიდევ რა სიმრავლით მოშენდებოდა. არიის მოდგმის ხალხნი ამბობდნენ, სარგებლის რაოდენობა პირუტყვის ნაშენობას მისდევსო[185]). პირუტყვთა ნაშენობა ხომ დიდი და მრავალია. რასაკვირველია, სარგებელიც ამის შესაფერი უნდა ყოფილიყო. შემდეგ, როცა მეურნეობა შეიცვალა, ძველებური სარგებლის ანგარიში ფულზედ გადაიტანეს და ამ გვარად დაასრდა ვახშის სიდიდე და $^0/_0\%$. უეჭველია, რომ ძველად ქართველებიც პირუტყვს სთვლიდნენ ფულად. ასე გასინჯეთ, ახლაც-კი ხევსურეთში ფულის მაგიერად ანგარიშის დროს ძროხას ჰხმარობენ და ეს ჩვეულება უძველეს დროიდგან მომდინარეობს. მაშასადამე, საზოგადოდ საქართველოში და კერძოდ საათაბაგოშიაც სარგებლის და ვახშის სიდიდეს მიზეზად ის დაედო, რაც სხვაგან ყოფილა...

მამულსა შიგა საწინდრად დგომა განსაკუთრებულს ვალს შეადგენდა და სავახშე ვალთან ერთად არის მოხსენებული. სხვაა ეგრედ წოდებული წინდი, რომელიც, ს. ს. ორბელიანის სიტყვით, ნიშნავს ვალის მძევალს. ეს ხელ-შეკრულობა იმაში მდგომარეობდა, რომ ვალის ამღებელი მიმცემელს მამულსა და საქონელს აძლევდა მძევლად და პირობას უდებდა—რა ხანიც შენს ხელში დარჩეს, სჭამე და მოიხმარე, ხოლო სარგებელს ნუ მთხოვო. საათაბაგოს წინდი უძველესი ხელ-შეკრულობაა, რომელიც ჯერ ისევ ინდოეთში არსებობდა და მერე ევროპაში გაჩნდა[186]). ამიტომ უსაბუთოა ის აზრი, ვითომ ქართველებმა წინდი სომხებისაგან შემოიღეს[187]). არა, წინდი ეხლაც იციან ჩვენმა მთის ხალხმა და სხვა მოდგმის კავკასიელებმა[188]) და ყველგან ხომ სომხების გავლენა არა ყოფილა. იგი ხელ-შეკრულობა უფრო საზოგადო და საყოველთაო ჩვეულებას შეადგენდა, თუმცა ცხადია, რომ რომაელების pignus და ბერძნების hipoteca წინდისაგან არსებითად განირჩეოდნენ[189]).

ალბულა ამბობს, წინდი ორ გვარიაო—სამამულო (სახმარი მიწა, ყანა, ვენახი, ჭალა, სახლი და რაგინდა რა გვარი) და სასაქონლო (აბჯარი, ტანისამოსელი და სხ). როგორც პირველი, ისე მეორე ვალის მიმცემს [illegible] და სჭეროდა და ეხმარა, ვიდრე ვალს გადაუხდიდენ. ამას გარდა, ორივე წინდი სწარმოებდა „არა ჟამიერად“, ე. ი. უვადოდ. იგი „არა ჟამიერობა“ შეადგენდა არსებითს თვისებას და მხოლოდ, როცა პატრონი „საწინდარს სახსარს“ მისცემდა წინდის მქონეს, „დაახსნევინოს მისი ადგილი, აიღოს და ადგილი დაუდვას უმიზეზოდაო“. მაგრამ შეიძლებოდა „წინდელებისა წესითა არა დაახსნევინოს“. მაშინ?—„ნაჭამით“ დაუბრუნოს დაწინდული მამული და საქონელი და „ნაჭამი“ იმ დროიდგან იანგარიშონ, როცა დახსნაზე უარი უთხრესო. მამულისა და საქონლის პატრონს უნდა ეფიცა, „ნაჭამი“ ესა და ეს და ამოდენიაო (მუხ. მდ). ფეოდალურს საათაბაგოში მამული ბატონს ეკუთვნოდა და მემამულეს ნება ჰქონდა ყმისათვის სხვა კაცის მიწა მიეცა. მოხდებოდა, რომ ბატონი ერთს ჩამოართმევდა მამულსა და მეორეს გარდასცემდა. შეიძლებოდა, ასეთი მამული დაწინდული ყოფილიყო—„თუ პატრონმა ყმას მიწა მისცეს, ვისი გინდა იყოს და მის მიწისა გინა ვენახი, გინა ყანა, გინდა სახლი და რა გინდა რამე დაწინდული იყოსო“... რასაკვირველია, ყმას შეეძლო წინდი დაეხსნა, მაგრამ ვის უნდა გარდაეხადა მისთვის „გამონაღები თეთრი“?—ალბულა ამბობს, „პატრონმან მისცეს და ანუ მან კაცმან, ვის მიწა აქვნდესო“. ეს ნიშნავდა, „გამონაღები თეთრი“ ბატონმა გადაუხადოს თავის ყმას, თუ არა და—იმ კაცმა, რომელსაც დაწინდული მამული ჩამოართვეს, რადგანაც მამული იმას დაუწინდიაო. აქაც ფიცი იყო საჭირო. ყმას უნდა ეფიცა, წინდის დასახსნელად ამოდენი თეთრი გავიღეო და მხოლოდ მაშინ „მართებს უკლებლად და უცილებლად“ (მუხ. მე).

საათაბაგოს წინდი, საბატონო თუ საყმო, განვითარებულს ხელ-შეკრულობას წარმოადგენდა და საგნად მხოლოდ მამული და საქონელი ჰქონდა. ძველად ასე არა ყოფილა და წინდს დიდი ცვლილება გამოუვლია. რომში, მაგ., ვალის ამღებელი თავის თავს წინდად აძლევდა ვალის მიმცემელსა და, თუ ვალს ვერ გარდაიხდიდა, მონად უნდა გაჰყოლოდა. ვალის გადაუხდელობისათვის მოკვლაც-კი შეიძლებოდა. როცა ვისმე რამდენიმე კაცის ვალი ემართა და სახსარი არა ჰქონდა ვალი გადაეწყვიტა, მოვალეებს სამართალი ნებას აძლევდა ცოცხალი კაცი ასო-ასოდ დაეგლიჯეთ და ისე გაინაწილეთო. ეს ბარბაროსული ჩვეულება სჯულად აღიარებული იყო რომაელთა ეგრედ წოდებულ XII таблицъ-ში[190]). როგორც სჯულ-მდებლობის ისტორია მოწმობს, არიელებს ძველად საკაცო წინდი ჰქონიათ, ე. ი. ვალის ამღებელი თავის თავს წინდად აძლევდა მოვალესა, ან არა და—სხვა ვინმე უდგებოდა მოპასუხედ და „წინდსა შიგა“ იმყოფებოდა. ეხლან-[illegible] „барантованіе“ სწორედ საკაცო წინდია და დასაწყისი შორეულ წარსულში აქვს[191]). საქართველოშიაც სცოდნიათ ასეთი წინდი და მის კვალს ფშავ-ხევსურეთში ვპოულობთ[192]), თუმცა აქ საკაცო წინდს ძველებური ხასიათი აღარ ატყვია. ეხლა „барантованіе“ და წინდად წაყვანა იმას ნიშნავს, რომ ერთი გვარის კაცი რაიმე დანაშაულებისათვის მეორე გვარს ადამიანსა სტაცებს და მძევლად ჰყავს. საქონლის მოტაცებაც შეიძლება. სასაქონლო „барантованіе“ ალბულას სამართალშიაც მოხსენებულია (მუხ. ზ). რაკი საკაცო წინდი ყველგან ამ „барантованіе“-საგან წარმოსდგა, ამიტომ სულ ძველად საათაბაგოსაც უნდა სცოდნოდა კაცის წინდად დგომა. ამ დასკვნას ასაბუთებს სყიდვა.

სყიდვა წინდისაგან განსხვავდებოდა, თუმცა, როგორც სჩანს, ძველად მათ შორის კავშირიც არსებობდა. იგი კავშირი იმაშია, რომ უწინდელ დროს ვალის ამღებელი წინდად მდგომიც იყო და თუ პირობას ვერ შეასრულებდა, მოვალეს უნდა მისცემოდა, თავი მიეყიდნა. საათაბაგოში სყიდვას ბოლომდე შერჩა ეს თვისება და ალბულას „ნასყიდი კაცი“ (მუხ. ოზ), სხვათა შორის, ამას ნიშნავდა. დანარჩენ საქართველოშიაც ვალში ყმად და მონად წაყვანა[193]) სყიდვასაც მოაწო-

---

185) Совр. Об. и др. Зак. I. 110—13.

186) ibid. 193—4, 202. См. также Зак. и Об. на Кав. I. 207—8.

187) Зак. и Об. на Кав. I. 164—5.

188) ibid. 165. Совр. Об. и др. Зак. I. 214—5.

189) Зомъ, 217—221. ეგრედ წოდებული ჰიპოთეკა რომაელებმა ბერძნებისაგან შემოიღეს.

190) Зомъ, 25—26, 231. ეგრედ წოდებული nexus. შემდეგში ეს ბარბაროსული nexum მოისპო.

191) Совр. Об. и др. Зак. I. 183—192.

192) Зак, и Об. на Кав. II. 122—123.

193) ა. ხახანაშვილის „ბატონ-ყმობა“, გვ. 40 და შემდეგ.

შესაძლოა, რამე ავადმყოფობა გავრცელდესო.

*** სპარსეთის ელჩი მირზა-მაჰმუდ-ხანი, რომელიც პეტერბურგიდგან ტფილისში ჩამოვიდა, კვირას მიემგზავრება თეირანს.

*** საფინანსო კომისიამ მოუხშირა ქალაქის შემოსავალ-გასავლის გასახილველად კრების მართვას. ამ ბოლოს დროს კვირაში ორჯელ იკრიბება ეს კომისია და თანაც გამგეობის საქმეების სარევიზიოდ ამორჩეულ კომისიის წევრთაც მიიწვევს ხოლმე, რათა გაიადვილონ სავარაუდო ანგარიშის განხილვა.

*** ქალაქის მეტრაქტირეებსა და სასტუმროების პატრონებს ყოველწლივ შეეწერებათ ხოლმე ეგრედ-წოდებული „სრედნი აქციზის" გადასახადი. ამისათვის ქალაქის მეტრაქტირენი და სასტუმროს პატრონნი ირჩევენ თავიანთ მხრით დეპუტატებს, რომელთაც უნდა გაწერონ—ვინ რამდენი უნდა იხადოს ამ გადასახადისა.

ზოგიერთებს არ მოეწონათ დეპუტატების მიერ გაწერილი ხარჯი. დღეს შაბათს, დეპუტატების კრება განიხილავს ამ ზოგიერთების საჩივრებს და ხელმეორედ გააწერენ ხარჯს. ეს იქნება უკანასკნელი გადაწყვეტილება დეპუტატებისა და ამის ძალით ქალაქის გამგეობა შეუდგება გადასახადის აკრებას. ამ გადასახადის შემოსავალს 15 ათას მანეთზე მეტს მოელის ქალაქი.

*** ქ. გორი: ამ დღეებში გორის საოსტატო სემინარიის საბჭოს გადაუწყვეტია, უშინსკის «Родное Слово»-ს მაგივრად პირველ დაწყებითს სამაგალითო სკოლაში რუსულის ენის სწავლების სახელმძღვანელოდ მიღებულ იქმნას „Русское Слово", შედგენილი ბ-ნ ი. გოგებაშვილის მიერ. ჩვენის მხრით ამ ამბავს დავუმატებთ, რომ აქამდე „Русское Слово" იხმარებოდა სასოფლო სკოლებში და ეხლა-კი საქალაქო სკოლებშიაც შემოიღეს მისი ხმარება.

საყურადღებოა, რომ ყველა სხვა სახელმძღვანელონი რუსულის ენისა, რომელნიც გამოცემულნი არიან კავკასიაში ქართულის, სომხურისა და სხვა სკოლებისათვის, მოწონებულნი არიან როგორც მაშველებელნი (пособія). მხოლოდ „Русское Слово" მოწონებულია, როგორც სახელმძღვანელო (руководство).

*** დუშეთი: წელს გაჰმართეს აქაურმა სომხებმა დედათა სკოლა, რომელშიაც ამ ჟამად 25 მოსწავლე ქალი სწავლობს. ქართველებსაც ჰქონდათ დედათა სკოლა ამას წინად, მაგრამ, სამწუხაროდ, გაუქმდა უსახსრობის გამო. სარგებლობა-კი მცირე არ მოჰქონდა იმ სკოლას. ამიტომ სასურველია რომ დუშეთის უკეთესი და თავი კაცები ეცადნენ და კვლავ დაარსონ როგორმე დედათა სკოლა.

*** რუისი: ძალიან გახშირდა ჩვენსკენ ქურდობა. ყველა შიშსა და ფიქრშია, რომ აი ან დღეს დამეცემიან თავს, ან ხვალ და აიკლებენ ჩემს ოჯახსაო. ქურდები მეტად გათამამებულნი არიან და თავზე ხელ-აღებით მოქმედობენ. ღამითაც აღარ სჯერდებიან თავიანთ ავ-კაცობას და დღისითაც ავ-ხელობენ. ავაზაკობასაც არ ერიდებიან. 24 იანვარს ისევ ჩვენმა სოფლელებმავე გახცარცვეს ქარელელი ისრაელი სოფლის განაპირას. საწყალს ურიას სცემეს, სამი თუმანი ფულად წაართვეს და ისე გაისტუმრეს. ავაზაკნი აღმოაჩინა სოფელმა და შეკრულ-შებოჭილნი გაჰგზავნა, სადაც ჯერ არს. 6 თებერვალს კიდევ გაცარცვეს რუისის გზაზე მეორე ქარელელი ურია, რომელსაც წაართვეს 32 თუმნის ლეჩაქ-ბაღდადები და თავ-საკრავები. საცოდავი ურია სოფელ სალოლაშენისკენ გაქცეულიყო. ჯიბეში 7 თუმანი ფული სდებოდა და შეჰშინებოდა, ესეც არ წაართვანო. ამავე გზაზე გახცარცვეს მესამე ურია. ერთის სიტყვით, ყველა შეშინებულია. მარტოკა, ან უიარაღოდ სოფელს გარედ გასვლას ველარა ვბედავთ.

*** სოფ. კაკი (საინგილო) 10 თებერვალს, წირვის შემდეგ მღვდელმა მ. ყ—შვილმა გადაიხადა აქაურს ეკკლესიაში პანაშვიდი განსვენებულ დ. ბაქრაძის მოსახსენებლად. პანაშვიდზედ დაესწრო მრავალი ხალხი, აქაურ ქალებისა და ვაჟების სკოლის მოწაფენი და მათი მასწავლებელნი. მღვდელმა მდაბიურად აუხსნა ხალხს, ვინ იყო განსვენებული, რა სარგებლობა მოუტანა თავის მამულს საზოგადოდ და კერძოდ ამ ჩვენს მხარესაო.

დამდეგს ზაფხულს აპირობენ წარმოდგენის გამართვას დ. ბაქრაძის სახელობაზე დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ.

## რუსეთი

„Новое Время"-ს ებრაელნი მეტის მეტად ათვალწუნებული ჰყავს და დღე ისე არ გავა, რომ თავისს №-ში ებრაელთა წინააღმდეგ რაიმე არ დაჰბეჭდოს და იმათი აუგი არ გამოაქვეყნოს. ამ გაზეთის სიტყვით ამ ხანად ელიზავეტოგრადის პოლიციას ერთი ებრაელი შეუპყრია, რომელიც სამჯერ მონათლულა და ვინ იცის კიდევ რამდენჯერ მოინათლებოდა, რომ იმისი ვერაგობა არ გამოაშკარავებულიყო. სასამართლომ გამოარკვია, რომ შლემა შვარცკოფს (ებრაელის გვარია) სამჯერ მიუღია მართლ-მადიდებლობა. პირველად მონათლულა ალექსანდრეს სახელით, მეორედ კონსტანტინე დაურქმევია, ხოლო მესამედ-კი ივანე. ეს ალექსანდრე-კონსტანტინე-ივანე შვარცკოფი მართლ-მადიდებლობის სიყვარულით-კი არ ინათლებოდა ასე ჩქარ-ჩქარად, არამედ იმიტომ, რომ ყველა ებრაელს, ვინც მართლ-მადიდებლობას მიიღებს, შემწეობად 15 მანეთი ეძლევა. შვარცკოფი სამჯერ მონათლულა და 45 მანეთი აუღია.

— ამ ორმოცი წლის წინად ერთის ოჯახიდამ ერთი ძმა ჯარში გაუწვევიათ და ამდენი ხნის განმავლობაში იმისი არაფერი არ იცოდნენ. ფიქრობდნენ, რომ უსათუოდ მოკვდა ან დაიკარგაო. ამ დღეებში დაკარგულის ჯარის კაცის ნათესავებს შეუტყვიათ, რომ იმათი ოჯახის შვილი პეტერბურგში მომკვდარა და იმათთვის $3^1/_2$ მილიონი მანეთი უანდერძებია. ამ ნაირად მიცვალებულის ნათესავებს სიღარიბ-სიღატაკიდამ სრულიად მოულოდნელად სიმდიდრეში შეუტოპავთ.

## წვრილი ამბები

ეკონომიის მცოდნე კატა. ეს სიტყვები გამოჩენილმა ფრედერიკ პასსიმ არა ნაკლებს გამოჩენილს ჟურნალს „Journal des Economistes"-ში იხმარა. აქ არავითარი ორ-აზროვნება არ არის და ლაპარაკი მართლა კატის შესახებ არის, იმ კატის შესახებ, რომელიც გამოჩენილს იგავ-არაკების მწერალს ლაფონტენსა ჰყავს გამოყვანილი ერთს იგავში. ლაფონტენის კატას ხის ფუღუროში თაგვები ჰყავდა დამწყვდეული, მარცვლებით ასაზრდოებდა და, როცა მოშივდებოდა თითო-თითოდ შეჭამდა. ამ კატას იმდენი მოსაზრება ჰქონდა, რომ თაგვს დაიჭერდა თუ არა ფუღუროში დასამწყვდევად, წინა ფეხებს მოსჭამდა, რათა გაქცევა ვერ მოეხერხებია. პასსის აზრით ეს კატაა შემომღები ამ ჟამად არსებულის სხვა-და-სხვა შემნახველ-დამზოგველის კასსებისა. ამ შემთხვევაში ცხოველსა და ადამიანს შორის დიდი მსგავსება არის. ადამიანის თაგვი ფულია და სწორედ იმიტომ, რომ ეს უცნაური თაგვი არსად გაიქცეს, ფეხებს დააჭრიან ხოლმე. ფეხების დაჭრა იმაში მდგომარეობს, რომ რომელსამე კასსაში უკრენ თავს და შემდეგ იმათის ნამთავნით ცხოვრობენ. ლაფონტენის კატას ადამიანზე ის უპირატესობა აქვს, რომ ამ პირუტყვმა ეს უბრალო ჭეშმარიტება პირ-მეტყველის უწინ გაიგოო, ამბობს დასასრულ პასსი.

— უხელოთა ხელი. იტალიის გაზეთი „Piemontese" ამბობს, რომ პროფესორმა კავალერე ლინცერინმა გამოიგონა ხელოვნებით გაკეთება ხელისა, რომელიც ბუნებრივს ხელს არაფრით არ ჩამოუვარდება თურმე. ერთმა რკინის გზის მოსამსახურემ, რომელსაც ერთს რკინის გზაზე მომხდარს უბედურების დროს ორივე ხელი მოაწყვიტა, გაიკეთა ლინცერინის მიერ მოგონილი ხელები და ამ ხელოვნურის ხელებით ეს უხელო კაცი ყველაფერს აკეთებს; ასე გასინჯეთ, წერილებსაც-კი სწერს თურმე. მის მიერ დაწერილი კრცელი წერილი ამ ამბის დასამტკიცებლად იმავე გაზეთშია დაბეჭდილი. ხელოვნური ხელი ლითონისაგან არის გაკეთებული და ბუნებრივს ხელზე უმძიმესი არ არისო, ამბობს დასასრულ გაზეთი.

— ფელდმარშალი მოლტკე. მოლტკემ ამ დღეებში გერმანელ გლეხთაგან

---

ვებდა—ვალი ვერ გადაიხადე და ჩემი თავი მომიყიდნიაო, ეუბნებოდა საარალო ვალის ამღებელი თავის უჯიათსა და გულ-ქვავ მოვალესა. მართალია, აღბუღა არ ასახელებს წინდად მდგომს კაცს, მაგრამ თვით ვალში სყიდვა-კი წინდად დგომისაგან გაჩნდა. ასე ყოფილა სხვაგანაც და სახელდობრ რომაელების nexum-იც ამტკიცებს ამას. nexus-ი ერთსა და იმავე დროს ვალის ამღებელიც იყო და წინდად მდგომიცა. ესევე უნდა ითქვას ქართულ სყიდვა-წინდზედაც, როცა ყმობა მკაცრი შეიქმნა და დაბალ წოდების კაცური ღირსება და პატივი მეტად შეილახა, გლეხსაც უსულო სასაქონლოს მსგავსად ჰყიდდნენ. არც აღბუღა ამბობდა უარს ამ სყიდვაზე. მაგრამ იმის დროს ეს სამარცხვინო აღებ-მიცემა მარტო ბატონყმობის შედეგი არა ყოფილა. კაცის სყიდვას უფრო ძველებურს წინდად დგომაში ჰქონდა ძალა და საფუძველი. საყურადღებოა, რომ ძველ საქართველოში თავის-თავის გასყიდვა ხშირი მოვლენა იყო, რადგანაც ჩვეულებასა და სამართალს შეესაბამებოდა. ყმის გასყიდვას სჯული ხომ პირდაპირ აწესებდა [194]).

ფეოდალურს გავლენას, რასაკვირველია, არც სყიდვა გადურჩა. ბატონს უფლება ჰქონდა საგლეხო ფუძე გაეყიდნა, „კაცრიელი გინა უკაცური" (მუხ. ნზ). ყმაცა და მამულიც ბატონს ეკუთვნოდა. ამის გამო თითონ ყმას არ შეეძლო „პატრონის ხელჩაურთავად" სამამულოს გასყიდვა—„ადგილი პატრონისა არისო" (მუხ. ოზ). ყმა „ბატონის ხელ-ჩაურთავად" მარტო სასაქონლოს თუ გაჰყიდდა, რადგანაც სასაქონლო იმის მონაგებს შეადგენდა.

საათაბაგოში სყიდვაც ორ გვარი იყო—სამამულო და სასაქონლო. ორივავე სყიდვის თვისება ისაა, რომ მხოლოდ საკუთარის მამულისა და სასაქონლოს გასყიდვა შეიძლებოდა. აღბუღა მამულზე ამბობს, თუ ვინმემ სხვისა გაჰყიდოს, „ოდესცა და მეპამულემან მოიკითხოს, მიწა დაუდვას უმიზეზოდ და ფასი ამღებელს სთხოოს, თუ აგეთი შენაცოდარი არ მიაჩნდესრა, რომ მართებოდესო" (მუხ. ნე). თავისი ფასი მსყიდველს „ამღებლისაგან", უნდა აელო და მემამულე არაფერ შუაში არისო. სხვაფრივ იყო „ფასი-თხოვის" საქმე, როცა ეგრედ წოდებული მოსაკარგავი გაიყიდებოდა. მოსაკარგავი სხვის დაკარგული საქონელია. თუ მოსაკარგავი გაიყიდა, ორივე მხარემ—მსყიდველმა და გამსყიდველმა—პატრონს სარეგვნო გარდაუხადონო—„ვისაცა ეყიდოს, ნახევარი ფასი სარეგვნოდ მას დაუშავდეს და ნახევარი გამსყიდველისაო" (მუხ. მვ). სამართალი სარეგვნოს მაშინ ახდევინებდა, როცა მოსაკარგავს პატრონის უმოწმებლად ჰყიდდენ და ჰყიდულობდნენ. საათაბაგოს სარეგვნო ჟამთა ვითარებამ გააჩინა და ამიტომ ამ ჩვეულებას თავისებურება ატყვია. რომში, მაგ., მარტო გამსყიდველს უნდა გაეცა პასუხი და ფასი გარდაეხადა დაკარგულ საქონლის პატრონისათვის [195]). თუ აღბუღამ მსყიდველსაც დაადო სარეგვნო, ამის მიზეზი პარვისა და ქურდობის გამრავლება შეიქმნა. ათაბაგი თითონვე მოწმობს, ჩემს დროს პარვა ხშირია და სამცხეში ქურდების ბრბო დაიარებაო. საჭირო იყო ამ ბოროტ-მოქმედებას სასტიკად მოქცეოდნენ და სარეგვნოც სწორედ ამ აზრით დააწესეს. სამართალს სურდა პარვა მოესპო, სხვათა შორის, იმითაც, რომ ქურდს ადვილად არ შესძლებოდა ნაპარევის გასყიდვა. და რომ სწორედ პარვამა დაჰბადა სარეგვნო, ეს მტკიცდება მითაც, რომ სამამულო სარეგვნო მოხსენებული არაა: მამულის პარვა არ შეიძლება, ამ „სირეგვნეს" კაცი ვერ ჩაიდენს და არც სამამულო სარეგვნო იყო საჭირო.

აღბუღა არც ცხენის სყიდვა-გასყიდვას სტოვებს უყურადღებოდ. ცალკე აღწერს ეგრეთვე სახედრისა და უსულო სასაქონლოს სყიდვა-გასყიდვასა. სყიდვა-გასყიდვაში დიდი მნიშვნელობა აქვს—რა ზნისა და თვისებისაა სასაქონლო, პირუტყვს და ნივთს მოეპოვება რაიმე ნაკლი და ზადი, თუ არა. რასაკვირველია, სყიდვა-გასყიდვა უნდა გაუქმდეს და მოიშალოს, როცა ერთი მხარე მეორეს ატყუებს და გასასყიდ საქონლის ნაკლსა ჰფარავს და სხ. რომაელთა სამართალი ყველა ამას ყურადღებას აქცევდა და გამსყიდველს პასუხი უნდა გაეცა მსყიდველისათვის, თუ ნასყიდს საქონელს ავი ზნე და რაიმე ცუდი თვისება გამოაჩნდებოდა [196]). მაჰმადიანთა სჯულიც, ეგრედ წოდებული შარიათი ამასვე აწესებს [197]). არც საათაბაგოს სამართალი ასცდა ამ გზასა და მიმართულებას. ნაკლიან ცხენს აღბუღა უწოდებს სახელად ბოლარლოს, ბურღოს *). თუ ვინმემ ასეთი ცხენი გაჰყიდოს, ბურღაობა დაჰფაროს („თუ ბურღაობა არა გამოანდოს"), და ნაკლიანმა ცხენმა სხვა კაცს რაიმე ზარალი და ვნება მიაყენოს, გამსყიდველმა უზღოსო. როცა ბურღაობას არ დამალავდა, მსყიდველს და გამსყიდველს თანასწორად უნდა ეზღოთ ზარალი (მუხ. ჲე). ამას ამბობდა სამართალი სხვა, გარეშე კაცის ზარალზე. მაგრამ შეიძლებოდა გამსყიდველს მსყიდველი მოეტყუებინა და ბურღაობა დაეფარა, მაშინ?—გამსყიდველმა ცხენი უკანვე გამოართვას, ფასი დაუბრუნოს და „რაც იმ ცხენით წახდომოდეს, უკლებ უზღოსო" (მუხ. როგ).

სახედრისა და უსულო სასაქონლოს სყიდვა-გასყიდვაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პაემანს *), ამ ხელ-შეკრულობის ბედი და იღბალი პირობის დროზე იყო დამოკიდებული. პაემანს უნდა გადაეწყვიტა—რა მოელოდა გამსყიდველსა და მსყიდველს. თუ ნასყიდს სახედარსა და უსულო სასაქონლოს, პაემნის გასვლამდე, რაიმე ნაკლი გამოაჩნდებოდა, მსყიდველი „მოშლას ემართლების უცილებლად, უსაშმლელოდ",—აილოს ცალიერი ნასყიდი და დაუბრუნოს პატრონსაო. აღბუღა ამბობს, მსყიდველს შეუძლიან „პაემანსა გარეთაც"—პირობის დროს გათავებამდე—ხელი აილოს ნასყიდზე, მაგრამ ამ შემთხვევაში საშაშმლელო უნდა გაიღოს გამსყიდველის სასარგებლოდაო. საშაშმლელოს ათის თავი შეადგენდა: მსყიდველს ფასის მეათედი უნდა დაეკლო და დანარჩენი გამოერთმია გამსყიდველისათვის. ნასყიდობის მოშლა არა გზით არ შეიძლებოდა, თუ სყიდვას შემდეგ პაემანის ოდენი სხვა დრო გაევლოდა. მაგრამ უკეთუ პაემანი გათავდებოდა და ერთი იმოდენი დრო-კი ჯერ ისევ გასული არ იყო, მაშინ „მოშლას ემართლების". ამ შემთხვევაში, საშაშმლელოს გარდა, მსყიდველს სხვა რამეც უნდა გარდეხადა,—„თუ დიდსა ხანსა ჰყოლოდეს, ეხედნოს და ავად გაეხადოს, იგიცა კიდე შეუზღოსო". უსულო სასაქონლოზედაც სამართალი ასე ბჭობდა (მუხ. ქ).

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

---

[194]) იქვე, გვ. 85–87.

[195]) Зомъ, 247—8.

[196]) ibid.

[197]) Зак. и Об. на Кав. II. 129.

*) ს. ს. ორბელიანი არ იხსენიებს ამ სიტყვას თავის ლექსიკონში. სამართლის მუხ. როგ შეცდომით სწერია გულარალო. ბოლარლო, ბურღო რუსულად—норовистая лошадь.

*) ს. ს. ორბელიანის განმარტებით, პაემანი პირობის დროა.

მილოცვის დეპეშა მიიღო, რაზედაც დიდად დარბაისლური მადლობის პასუხი მისწერა თავის მხრით გლეხებს. პასუხზე ასე მოაწერა: გლეხი მოლტკე.

— უნდა ჰქონდეს თუ არა ფარეშს ულვაშები? ასეთის დიდის საკითხის გამორკვევა მოუხდა ამას წინად ბედფორდის (ინგლისშია) სასამართლოს. ქალბატონმა ერთს დღეს შეჰნიშნა, რომ თავისს ფარეშს ულვაშები ამოსდის. ქალბატონი ამ ამბავმა მალიან გააკვირვა. იმისი აზრით ეს მოვლენა საზოგადო წესისა და რიგის წინააღმდეგი იყო, რის გამოც უბრძანა ფარეშს, რომ ეხლავე მოაპარსვინე ულვაშები, ან არა და, რაც ნამსახური გერგება, წაიღე და გამშორდიო. ფარეში ეუბნებოდა, რომ ჩემის საქმის გაკეთებას ულვაშები სრულიად არ დამიშლის და ამასთანავე თავის ბოლომდე არ შეგიძლიან დამითხოვოთო. აქედამ საქმე სასამართლოში გადავიდა. მსაჯულმა გადასწყვიტა, რომ მოსამსახურის დათხოვნა შეიძლება სხვა კანონიერ მიზეზთა გამო, ხოლო რაც შეეხება ულვაშს, ეს ყველა მამაკაცის ბუნებრივი კუთვნილებაა; ამით არც წესი ირღვევა, არც რიგი და მარტო ეს მიზეზი არ კმარა იმის საფუძვლად, რომ ფარეში დათხოვნილ იქმნასო. ამ ნაირად, თუმცა ამ ახირებული ქალბატონის ახირებული თხოვნა სასამართლომ არ შეიწყნარა, მაგრამ იმან მაინც გადასწყვიტა, რომ თვის ბოლოს ურჩი ფარეში უსათუოდ გაისტუმროს.

---

## დ ე პ ე შ ა

21 თებერვალი

სინგაპური. დღეს დილით მემკვიდრე ცესარევიჩი ბატავიაში წაბრძანდა.

ტამბოვი. საგუბერნიო ერობას განზრახვა აქვს მცირე წლოვან დამნაშავეთათვის კოლონია გააშენოს.

ვარშავა. აქ მოვიდა პრინცი ლუი ფილიპპე ორლეანელი, რომელიც ამას წინად პეტერბურგში იყო.

პეტერბურგის ბირჟა, 19 თებერვალი

| | მყიდველნი ჰქონდა. | | გამყიდველნი ჰქონდა. | | გაყიდულია. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 | 82 | 6 | 86 | — | „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | $136^3/_4$ | | 137 | | — | „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 | 06 | 1 | 08 | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . | $237^1/_2$ | | — | „ | — | „ |
| —მეორისა . . . . | 229 | | — | „ | — | „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . | $210^1/_4$ | | — | „ | 216 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . | — | „ | — | „ | — | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე გავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რავი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


## ახალგაზდა ქალი

ემებს გაკვეთილს ფრანგულის ენისას. იცის ქართული და რუსული ენაც.

ადრესი: შუა-ბაზარი, კათოლიკეთა ქუჩა, № 23.

(3—2)

მხოლოდ ამ ფაბრიკის მარკით არის ნამდვილი

Huste-Nicht

Gerichtl. geschützt

„ნუ-ახველებ“

თაფლ-ბალახიანი მალც ექსტრაქტი და კამფეტები

ლ. გ. პიტშისა და ამხ. ბრესლავლში.

ქიმიურის ანალიზითა და სმკურნალო გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ყოველს შემთხვევაში ამ წამლებში არეული არ არის არც ერთი მავნებელი ნივთიერება ადამიანის ჯან-მრთელობისათვის, და კიდეც ამიტომ მისი რუსეთში შემოტანა და გაყიდვა ნება დართულია.

ფასი: ბოთლი ექსტრ. 1 მან. 25 კაპ. და 2 მ. 40 კაპ. კანფეტები 30 და 50 კაპ.

გაგზავნა და შეხვევა ცალკე უნდა იანგარიშებოდეს.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის არის

პ. აჟურიხთან

ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნის ქუჩაზედ, $^{18}/_{19}$.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა და საათფთიაქო მაღაზიაში.

(16—14)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ანანიაშვილისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი ვ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით. . . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . . . | 1 | „ |
| ...სამძლვარი ზეცისა. . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპოსისა . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . . | 1 | „ |
| ბრძ... ... . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა. ყდით . . | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე. ყდით. . . . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა . . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე რიტორიკა, გინა მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით . . | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ქეტევანისა. ყდით . . . . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინინისა ოქროს შვიდი სურათით . . . . . | 10 | „ |
| Книга Калилаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна. . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . | „ | 25 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

# დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

...ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

# „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.


Тифлисъ, Цсв. цен. 22-го Февраля 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.